**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იოანე ქონქოზის ძე

იოანე ქონქოზის ძე, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი. მის შესახებ ბიოგრ. ცნობები არ მოგვეპოვება. ავტორია მიქაელ მოდრეკილის „იადგარში" (978–988) მოთავსებული ვრცელი იამბიკური საგალობლისა – „გალობანი ქრისტეჱს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაილტელყოფილისა ქართველისანი". მას ტაო-კლარჯეთის ლიტ. სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევენ. ბიბლ. იხ. სტ-თან *იოანე მინჩხი.*

**ლ. ჯღამაია**